963/3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 24 (221) 30 აგვისტო 1963 წელი

## შინაარსი

### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი

380. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ა. კ. კოროვუშკინის გათავისუფლების შესახებ.

381. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ამხ. ა. ა. პოსკონოვის დანიშვნის შესახებ.

382. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრად ამხ. ვ. ა. კუჩერენკოს დანიშვნის შესახებ.

383. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა საგარნიზონო სამსახურის და საყარაულო სამსახურის წესდების შესახებ.

#### განყოფილება მეორე

384. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ნ. რომანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

385. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ოდესის იანვრის აჯანყების სახელობის მძიმე ამწეთმშენებლობის ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

386. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ს. ტროფიმოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

387. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ვ. ტიმოფეევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

388. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. პ. მასტეროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

389. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ვ. კ. მარჯანიშვილის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

#### განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

# ნაწილი II

## განყოფილება მეორე

390. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

391. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

392. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ი. ფხაკაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი I

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**380** **სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ა. კ. კოროვუშკინის გათავისუფლების შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე **კოროვუშკინი** სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 14 აგვისტო.

№ 1610-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**381** **სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ამხ. ა. ა. პოსკონოვის დანიშვნის შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ალექსი ანდრიას ძე პოსკონოვი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 14 აგვისტო.

№ 1611-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**382** **სსრ კავშირის მინისტრად ამხ. ვ. ა. კუჩერენკოს დანიშვნის შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ვლადიმერ ალექსის ძე კუჩერენკო სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 15 აგვისტო.

№ 1612-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 383 სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა საგარნიზონო სამსახურის და საყარაულო სამსახურის წესდების შესახებ

დამტკიცდეს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა საგარნიზონო სამსახურის და საყარაულო სამსახურის წარმოდგენილი წესდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 22 აგვისტო.
№ 1641-VI.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 384 ამხ. ნ. ნ. რომანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი ამხ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **რომანოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 16 აგვისტო.
№ 1614-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 385 ოდესის იანვრის აჯანყების სახელობის მძიმე ამწეთმშენებლობის ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მძლავრი თვითმავალი ამწეებით მშენებლობისა და მრეწველობის აღჭურვაში მოპოვებული დიდი მიღწევებისათვის და დაარსების ასი წლისთავთან დაკავშირებით **ოდესის იანვრის აჯანყების სახელობის მძიმე ამწეთმშენებლობის ქარხანა** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 17 აგვისტო.
№ 1622-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 386 ამხ. ა. ს. ტროფიმოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ჩაჩნეთ-ინგუშეთის ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. ალექსანდრე სტეფანეს ძე **ტროფიმოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 20 აგვისტო.
№ 1633-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 387 ამხ. ნ. ვ. ტიმოფეევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო მშენებლობაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით ჩრდილო-დასავლეთის ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნიკოლოზ ვლადიმერის ძე **ტიმოფეევი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 22 აგვისტო.
№ 1635-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 388 ამხ. ნ. პ. მასტეროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით რუსეთის სფს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნიკოლოზ პეტრეს ძე **მასტეროვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 22 აგვისტო.
№ 1636-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 389 პროფესორ კ. კ. მარჯანიშვილის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მათემატიკის დარგში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით პროფესორი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მარჯანიშვილი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 24 აგვისტო.
№ 1644-VI.

## განყოფილება მესამე

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

შუა ვოლგის სახალხო მეურნეობის საბჭოს სალავათის ნავთობქიმიურ კომბინატში მშენებლობაზე და პოლიეთილენის წარმოების ათვისებისას მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 22 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა რსფსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „სალავათსტროის“ და სხვა ორგანიზაციების 97 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია: სალავათის ნავთობქიმიური კომბინატის მემანქანე ხ. ა. აკულოვი და ტრესტ „სალავათსტროის“ № 5 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი გ. ხ. ბატირშინი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 9 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 27, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 27 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 32 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი II

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 390 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. აზატ ოგანეზის ძე **ბაღდასაროვი** — ლექტორი, ექსკურსიის გამძღოლი.
2. ქსენია ალექსანდრეს ასული **გოგიავა**—მუზეუმის მთავარი ბუღალტერი.
3. ანტონ კირილეს ძე **კელენჯერიძე** — მუზეუმის დირექტორი.
4. ვასილ ანტონის ძე **ლობჟანიძე** — ლექტორი, ექსკურსიის გამძღოლი.
5. ლავრენტი პანტელეიმონის ძე **ძაგნიძე** — მუზეუმის ფოტოლაბორატორიის გამგე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1963 წლის 20 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 391 ამხ. ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში სატყეო მრეწველობის განვითარების დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ტყის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ზაქარია ნიკოლოზის ძე **ჩხუბიანიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1963 წლის 20 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 392 ამხ. ს. ი. ფხაკაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში, განათლებისა და ბეჭდვითი სიტყვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. სერგი ივანეს ძე **ფხაკაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1963 წლის 20 აგვისტო.

## განყოფილება მესამე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიაში

1963 წლის 13 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის გაფართოებული სხდომა. თავმჯდომარეობდა დეპუტატი ო. ი. ლოლაშვილი.

სხდომას გარდა კომისიის წევრებისა ესწრებოდნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **გ. ა. ჯაბუა**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. **დ. ნ. ჩხეიძე**, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილე ამხ. **ვ. ს. ტრაპაიძე**, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე ამხ. **მ. ს. ზოდელავა**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. **ი. ი. ჩოდრიშვილი**, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველოს უფროსი ამხ. **ვ. ტ. ურუშაძე** და სხვები, სულ 34 კაცი.

კომისიამ განიხილა საქართველოს სსრ 1963 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საკითხი. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილე ამხ. **ვ. ს. ტრაპაიძე.**

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გააკრიტიკეს ის ორგანიზაციები, რომლებმაც I და II კვარტალის გეგმების შეუსრულებლობით სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლეს მნიშვნელოვანი რაოდენობის თანხა.

საბიუჯეტო კომისიამ მიიღო დადგენილება, რომ საქართველოს სსრ 1963 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საკითხი განსახილველად შეიტანოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.